საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №046

2025 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის №016 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის №016 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.70.082.016144) დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „რ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ყოველი წლის იანვარში, გენერალურ პროკურორს წარუდგენს გასული წლის ანგარიშს დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში მომავალში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე;";

ბ) „ს" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **გიორგი გვარაკიძე**